

პრეზიდენტის არჩევნები საპარლამენტო მმართველობის მოდელში,
ევროპული გამოცდილება და ქართული მოდელი

თეა თევზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი პაპუაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი , 2022

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

თეა თევზაძე, 14/02/2022 წელი.

აბსტრაქტი

საქართველოში ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად აქტუალური ხდება სხვადასხვა ხელისუფლების შტოს ფორმირების და უფლებამოსილების საკითხების განხილვა. ამ კუთხით გამორჩეული იყო 2017-2018 წლის საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც ფაქტიურად ერთპარტიულად და ფართო კონსენსუსი გარეშე იქნა მიღებული.

დღეს, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში სახელმწიფოს თანამედროვეობის და დემოკრატიულობის საზომი ეფექტური მმართველობის ფორმის არსებობა და თავისუფალი არჩევნებია. ზოგ მათგანს სახელმწიფოს დემოკრატიულად მოწყობის საუკუნოვანი გამოცდილება აქვს, ზოგი მხოლოდ ახლა დგამს ნაბიჯს პირველ ნაბიჯებს დემოკრატიზაციის მიმართულებით.

ეს ნაშრომი არის კვლევა/ანალიზი იმ გამოწვევისა რომლის საფუძველიც არის 2018 წლის დეკემბრის საკონსტიტუციო ცვლილებების ის ნაწილი რომელიც საქართველოს პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას და საპარლამენტო მმართველობის მოდელის დამკვიდრებას ეხება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად 2018 წლის ცვლილებებისა და ახალი რედაქციის ძალაში შესვლისა აღნიშნულ მოდელს ჯერ პრაქტიკაში არ უმუშავია. ანუ, საქართველოს პრეზიდენტის არჩევა ჯერ არ მომხდარა არაპირდაპირი წესით.

შერჩეული თემა, „პრეზიდენტის არჩევნები საპარლამენტო მმართველობის მოდელში, ევროპული გამოცდილება და ქართული მოდელი“ ნაწილობრივ მაინც

მოახდენს იმ გამოწვევების და სამომავლო პერსპექტივების თვალსაჩინო წარმოჩენას რომელიც შეიძლება მომავალში საქართველოს ელოდება.

ამავდროულად მოკლედ განხილული იქნება პრეზიდენტის ინსტიტუციური როლი საპარლამენტო მმართველობის მოდელში და პრეზიდენტის არჩევნები საპარლამენტო მმართველობის მოდელში რითაც ჩემი მიზანია გამოკვეთო ის ინსტიტუციური ნეიტრალურობა რაც სახელმწიფოს მეთაურს უნდა ჰქონდეს საპარლამენტო მმართველობის მქონე სახელმწიფოებში. ჩემს ნაშრომში ასევე ნაკვლევია ევროპული გამოცდილება, რომელიც განხილულია კონკრეტული მაგალითების საფუძველზე და შედარებულია პრეზიდენტის არჩევნების ქართულ მოდელთან.

ნაშრომში, ანალიზისთვის გამოყენებულია სხვადასხვა სამართლებრივი, ისტორიული წყაროები და ევროპული სახელმწიფოების კონსტიტუციები. ასევე ჩემი ნაშრომი ეყრდნობა სხვადასხვა სამართლებრივ კვლევებს, ექსპერტების და ავტორთა კოლეგიების მიერ შემუშავებულ სამეცნიერო მოსაზრებებს და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს და შენიშვნებს.